# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/130

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020 წ.

**სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-04/22 დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეჩერდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-04/22 დადგენილების მოქმედება უნივერსიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესებთან დაკავშირებით, შემდგომი გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე